ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

კანტორა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ., თავ.-აზნაურთ ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დახაკვე-ძმა მიმართავენ რედაქციის დილის 9 საათამდე და საღამოს 6—7 „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირ-პირ მოლაპარაკება რედაქ-ციასთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363


დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი „ცნობის ფურცლისა" გამოვა კვირას, 18 აპრილს.


წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ღირება 4 მან. და 50 კ.,



თავ. გიორგი და ლუარსაბ მაყაშვილების
ღვინის საწყობი



„იყალთო"



რომელიც იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, სახლი ანტონოვისა № 19.
ამით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ ამ დღეებში მივიღეთ:
ხორხელ-ჯანაანიდან სიკო აბელაშვილის ღვინოები. ამასთანავე მივიღეთ:
იყალთოდან, რუისპირიდან და ახმეტიდან.
მომავალი დღესასწაულების გამო მსყიდველებს დაეთმობათ შემცირებულ ფასებში.
ვინც ათს ბოთლს ერთად იყიდის

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20 კაპ. დაეთმობათ | 25 კაპ. დაეთმობათ | 30 კაპ. დაეთმობათ | 40 კაპ. დაეთმობათ | 50 კ. დაეთმობათ | 60 კ. დაეთმობათ | 80 კ. დაეთმობათ | 1 მან. დაეთმობათ |
| 1 მ. 80 კ. | 2 მ. 20 კ. | 2 მ 50 კ. | 3 მ. 30 კ. | 4 მან. | 5 მან. | 6 მ 50 კ. | 7 მ. 50 კ. |

ამასთანავე ქართველ საზოგადოებისთვის შემოვიღეთ ბაუწურავი ღვინო ქვევრიდან. იმედი გვაქვს ჩვენის ღვინოებით საზოგადოება კმაყოფილი დარჩეს.
(6—4) პატივისცემით თავ. გიორგი და ლუარსაბ მაყაშვილები.



კახური ღვინოების სარდაფი და საწყობი
„ველისციხე"
მუხრანის ქუჩაზე, ტერ-ასატუროვის სახლებში და ყველა საუკეთესო მაღაზიებსა და სასტუმროებში.
მიხეილ გიორგის ძე ტარასოვისა
მომავალ დღესასწაულებისთვის მივიღე ნამდვილი კახური ღვინოები. კარგი მოსავლის გამო ხელს მაძლევს გავყიდო იაფად.
ვედრო 1 მ 80 კ. ვიდრე 15 მან. ბოთლი 12 კაპ. 1 მ. 50 კ.
ვინც ერთბაშად იყიდის ბევრ ღვინოს იმას სკიდკა ექნება.
ვთხოვ ჩემს პატივცემულ მუშტრებს შეადარონ ჩემი ღვინო სხვის ღვინოებთან
პატივისცემით მიხეილ გიორგის-ძე ტარასოვი



!!მიაქციეთ ყურადღება!!
გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალოვის სახლებში
ამ ცოტა ხანში გაიხსნება
ჩინეთის მაღაზია
ვინც ჩაის იყიდის იმას ნობათად მიეცემა რაიმე ნივთი. ვინც იყიდის 12 მან. ჩაის თუნდაც სხვა და სხვა დროს, 2 მან. იმას უფასოდ მიეცემა ჩაის ყუთი.
მუქთად მიეცემა ჩაის ყუთი მოწყობილობა. (100—9)



სამკურნალო და ამბულატორია
ს. ზ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ზ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. კ. გერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი საქიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ზ. თოფურია
Лѣчебница В. С. Топурія въ Кутаисѣ


# ახალი ამბავი

* * * თავად-აზნაურთა საგანგებო კრება. 13 აპრილს, უკანასკნელი სხდომა იყო ტფილისის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებისა, რომელმაც დაადგინა: 1) მამულების გამიჯვნის დაჩქარების პროექტი, რომელიც შეიმუშავა თავ. ი. გ. ამილახვარმა, გადაეცეს კვლავ თავ. ამილახვარს ხელახლად გადასინჯვისათვის და საბოლოო პროექტის შედგენისათვის; ვისაც ჰსურს თავისი მოსაზრება წარმოადგინოს პროექტის შესახებ, კომისიაში უნდა წარადგინოს იგი ორის კვირის განმავლობაში; შემუშავებული პროექტი კომისიამ უნდა წარუდგინოს საგანგებო კრებას, რომელიც მაისში იქნება მოწვეული. 2) ეთხოვოს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობას იშუამდგომლოს ბანკის მომავალ კრების წინაშე, რომ ბანკის ამ წლის მოგებიდან კრებამ გადადოს შეწირულება შიდა გუბერნიებში დამშეულთათვის და მცხეთის ტაძრის განახლებისათვის.

ამის შემდეგ გარდასწყდა: 1) მომავალი კრებისათვის გადასინჯულ იქმნას წყალთა და მდინარეთა შესახები დებულება. ამ საგნისათვის არჩეულ იქმნა კომისია, რომლის თავმჯდომარედ აარჩიეს თავ. ი. გ. ამილახვარი და წევრებად: თავ. დ. ზ. მელიქიშვილი, თავ. გ. ნ. დიასამიძე და თავ. ნ. თ. ჩოლოყაშვილი; 2) დამზადდეს იმავე კრებისათვის მოხსენება იმის შესახებ, თუ რომელ სამაზრო ქალაქში უმჯობესი იქნება დაარსდეს გიმნაზია, ეს მოხსენება შემდეგ წარედგინება მთავრობას; მოხსენების შედგენა მიენდო კომისიას, რომლის წევრებად არჩეულ იქმნენ: თავ. ი. გ. ჭავჭავაძე, ა. ნ. ფურცელაძე, გ. დ. ქურული, ი. გ. რატიშვილი და გ. ა. ყარანგოზიშვილი, და 3) შესდგეს იმის წესები, თუ როგორ მოხერხდეს, რომ ის ფული, რომელიც თავად-აზნაურობას უნდა დაუბრუნდეს ბანკიდან, საზოგადო საჭიროებას მოხმარდეს თავად-აზნაურობისას. კრებამ ამ წესების შედგენა დაავალა თავ. ი. გ. ჭავჭავაძეს, რომელსაც მიენდო მოიწვიოს ისინი, ვის მოწვევასაც საჭიროდ სცნობს თითონ, ამ საქმის დასამთავრებლად. იქვე თავ. ი. გ. ჭავჭავაძის წინადადების თანახმად, თავ. ნ. თ. ჩოლოყაშვილმა შესწირა თავად-აზნაურობის საზოგადო საჭიროებისათვის ბარათი ბანკის დასაარსებელ თანხის შესადგენად მის მიერ შეტანილის 630 მ. ფულისა და ამ გვარად უარი განაცხადა ამ ფულის მიღებისა. ამავე კრებაზე წაკითხულ იქმნა თხოვნა მელვინეთხუციშვილის ქვრივისა, რომელიც აცხადებს, რომ ბანკიდან ჩემს წილად უკან დასაბრუნებელი ფული შემიწირავს იმ საზოგადო საჭიროებისათვის, რომელსაც ამ ფულის საზოგადოდ მოხმარებისათვის დანიშნული კომისია ამჯობინებსო.

* * * ახლად შემდგარი ქართული მომღერალთა გუნდი. სიმღერის მოყვარე ახალ-თაობას განუზრახავთ შეადგინონ სააღდგომოდ მომლოცველთა, მომღერალთა გუნდი, რომლებსაც მიზნად აქვთ შემოსული ფული ხარჯს გარდა, გა-

დიდონ კიევის უნივერსიტეტში მოსწავლე სტუდენტების სასარგებლოდ.

*** სეტყვა ტფილისში. გუშინ წინ საღამოს, ესე ექვს საათზედ ტფილისში ჯერ წვიმა-ქარმა დაჰბერა, მერე დასწვიმა და ცოტა ხნის განმავლობაში საშინელი სეტყვა წამოვიდა; სეტყვა კარგი თხილის ოდენა იქნებოდა. სულ ხუთიოდე წუთი მოდიოდა სეტყვა და მერე ერთბაშადვე შეწყდა.

*** განცხადებანი ბანკში დაგირავებულ მამულების საჯარო ვაჭრობაზე ახალის განკარგულებით უნდა იბეჭდებოდეს მხოლოდ რუსულ ენაზე „Провит. Вѣст.“-ში «Торг. промыш. газ.» და ადგილობრივ «Губернск. Вѣдом.»-ში. ამ გვარად, სამწუხაროდ ქართულ ენაზე ტფილისის და ქუთაისის ბანკების განცხადება აღარ დაიბეჭდება, რითაც „ივერიასაც“ და „კვალსაც“ დიდი ზარალი მიეცემა.

*** კრება ქუთაისის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა დანიშნულია 21 აპრილს, ოთხშაბათს, დილის თერთმეტ საათზე, სოფელ კუხს, ამხანაგობის სამმართველოში. განსახილველია შემდეგი საგნები: 1) დამტკიცება 1898 წლის ამხანაგობის წლიურის ანგარიშისა; 2) მიღება მთავრობის სანიმუშო წესდების თანაბრად შემუშავებულ ახალის წესდებისა; 3) არჩევა ამხანაგობის მდივნისა; 4) ნებართვა ამხანაგობის მმართველისადმი ამხანაგობის აღებ-მიცემობისათვის საჭირო სესხის აღებისათვის და 5) მოხსენება ამხანაგობის მმართველისა, თუ როგორ დაუახლოვდეს უფრო მეტად ამხანაგობა ერთის მხრით ჩვენებურ მეაბრეშუმეებს და მეორეს — საზღვარგარეთელ მუშტრებს.

*** ს. ზემო-ხოდაშენი. ნავთის აღმოჩენა. ზემო-ხოდაშენში აღმოჩნდა ნავთი საგინაშვილის მთაში. ორი წლის წინად ეს მთა, სადაც ნავთი აღმოჩნდა, მიუყიდნია ერთი გერმანელისათვის ტფილისიდან. ამ უკანასკნელს, როგორც ამბობენ, წინდაწინვე სცოდნია ეს ამბავი და ამისთვის განგებ უყიდნია. გერმანელს ეს მთა იჯარით მიუცია ერთ პეტერბურგის ამხანაგობისათვის 30 წლით, და კარგ ფასადაც. 15 თებერვალს თელავში მოვიდა ამხანაგობის რწმუნებული, აქედამ ზემო-ხოდაშენში წავიდა და 19 თებერვალს დააწყებინა მთაში მუშაობა. მარტის ცხრამდის გაუჩერებლივ უმუშავნიათ და ბურღი 11 საჟენზე დაუყვანიათ; ნავთისთვისაც მალე მიუგნიათ. ნავთი კარგი თვისებისა არის თურმე. მათ იმედი აქვთ, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში კიდეც მომზადდება და დაუწყებენ ყიდვას. ამხანაგობის რწმუნებული 10 მარტს წასულა საფრანგეთში და მაისამდის აღარ დაბრუნდება და იმავ დროს შეუდგებიან ქარხნის აშენებას და ნავთის წარმოებასო.

თელაველი

*** კახეთი. მოსავალი. წელს, როგორც ეტყობა კარგი მოსავალი უნდა მოვიდეს. შემოდგომაზე შესაფერი დარი დაუდგა ნახნავებს და ყველამ იმდენი მოხნა და დათესა, რამდენიც უნდოდა. ზამთარში ორჯერ მოვიდა დიდი თოვლი, რამაც ერთი ორად აქცია ნახნავები, ეხლა ისეთი ჯეჯილია ამოსული, რომ ერთ მტკაველს აღარაფერი აკლია. ამისთვის სოფლელებს იმედა აქეთ კარგი მოსავლისა, თუ ამას იქით დარმა ხელი შეუწყო. ღვინის მოსავალიც კარგი უნდა იყოს, რადგანაც წელს ისეთი ტაროსი არა ყოფილა, რომ ვაზი გაეხმო და დაეძრა. ვენახებსაც კარგად მოუარეს, რადგანაც ამინდი ხელს უწყობდა. პურისა და ღვინის მოსავლისა კი კარგი იმედი აქვთ, ხოლო ხილისა კი არა, რადგანაც მარტში ძალიან კარგი დღეები დადგა, ყველა ხეხილმა კოკორი გამოიტანა და გაიფოთლება კიდეც ამ ერთ კვირაში; ნუში, ტყემალი და ატამი კი აყვავდა, შეიძლება აპრილში სიცივეები დაიჭიროს და მთელი ხეხილი დასძრას და ჩამოჰყაროს ყვავილი. მეორედ ხომ აღარ გამოიტანს ყვავილს და, როგორც ეტყობა წელს უხილობა იქნება.

*** ლიახვის ხეობა ლიახვის ოსები, მათი ზნე ხასიათი და ჩვეულება. არა მგონი, რომ კიდევ სადმე ხალხი იყვეს ისეთი ზარმაცი, გაურჯელი და წელ მოწყვეტილი, როგორიც არიან პატარა ლიახვის ოსები. ქვეყანაზედ ყოველი ქრისტიანი მუშაობს კვირაში ექვს დღეს, თუ რაიმე უქმე არ გამოერია; ოსები კი მუშაობენ კვირაში მხოლოდ სამ დღეს; კვირას, ორშაბათს, პარასკებს და შაბათს შუადღის უკან მიწას ვერ შესძრავენ. ეს ოთხი დღე კვირაში ისეთივე ძნელი უქმეა, როგორც ქრისტიანი კაცისათვის აღდგომის დღე. საიდგან და რისთვისა აქვთ ეს დღეები დაუქმებული ამაზედ თვითონაც არა იციან-რა. გარდა იმ ეკკლესიური უქმეებისა, როდესაც მღვდელი დაურისხებს, ოსებს მრავლისაგან მრავალი მოსდით უქმეები ოსური წმინდანებისა. უკანასკნელი წელიწადში ათჯერ მაინც უნდა ადუღონ ლუდი სხვა-და სხვა წმინდანებისათვის, რომელ დღეებშიაც მუშაობა არ შეიძლება. რამდენჯერმევე უნდა დაუკლან ხარი, რომელსაც ხარის დაკვლის დღეობას ეძახიან. მთაში არც ერთი ნანგრევი და და ნაეკლესიარი არ არის, რომ თაყვანს არ სცემდნენ თავიანთებურად და არა უქმობდნენ. ბევრი მუხებისა და წიფელების უქმეებიც ძრიელ ბევრი აქვთ. ანგელოზების უქმეები ხომ ძრიელა სწამთ. ამათი აზრით ყველასფერს თავის ანგელოზი ჰყავს. უფრო ძრიელა სწამთ ხისა და ქვის ანგელოზები. იშვიათია ამათში, რომ ორი ამათებური წმინდანის უქმე ერთსა და იმავე დღეს დაერთოს.. უეჭველად უნდა სამუშაო დღე გააუქმონ. როგორც გამოიანგარიშე, დაახლოვებით, მუშაობა კვირაში ერთ დღეზე ნაკლებ მუშაობს. აქ უნდა დაუმატოთ, რომ კავკასიონის მთის ზამთარი, ხუთ თვეს ოსს შინიდგან გარეთ არ გამოაყოფინებს თავსა. მაშასადამე ოსურ გამრჯელს წელიწადში უმუშავნია დაახლოვებით ოცი დღიდგან, ოც-და ათი დღე. ოც და-ათი დღე უნდა თოხნოს მუშამ აქა იქა მთაში ნაგლეჯ-ნაგლეჯ ველებზედ ტყეში. ოც-დაათი დღის ნათოხნი, შეადგენს ორხელის სამი დღიურის ნახნავს. თუ სეტყვამ არ გაახრა, ან სხვა მტერი არ გაუჩნდა ჭირნახულს, დღიურზედ, თუ კაი მოსავალია, მოიმკობს პატრონი ხუთი კოდისას, მუშა ოსმა უნდა შეიტანოს წლითი-წლამდინ თხუთმეტი კოდი ქერი. ეს არის სახელმწიფო ხარჯის გამსტუმრებელიც, წვრილი ხარჯებისაცა და ოჯახის გამომკვებიც. გარდა ამ მოსავლისა მთელი წლის განმავლობაში პატარა ლიახვის ოსი კაპეიკს ვერ შემოიტანს სახლში. საქონლისა და თხა-ცხვრის გამრავლებას სრულიად არ მისდევენ პატარა ლიახვის ხეობაზედ; თუ ვისმეს ჰყავს თითო-ოროლა, იმისთვის, რომ სახლშივე დაკლას ოსურ უქმეებში და ღეობებში. ტყიდან გროში გამორჩენა არა აქვთ, და რადგანაც არც გზაა და პატარა ლიახვის ოსი ჩხირის გაწვეტიანებას ვერ მოახერხებს. რაც უნდა მისცენ ცხინვალში დღიურ მუშათ არ წაჰყვება. მოჯამაგირეთ ვერ დაიყენებ... ერთის სიტყვით, არსაიდგან და არავითარის მხრით პატარა ლიახვის ოსის ოჯახში წლითი-წლამდინ გროში კაპეიკი არ შევა, გარდა თითო ოროლასი, რომელიც წასულა და ჩავვრათ, ან ყარაულად დამდგარა სადმე.

მე დარწმუნებული ვარ, რომ თითქმის ყველას უნახავს ვერცხლის ქამარ ხანჯლიანი ოსი, ვერცხლისავე ხლმითა და მასრებით შემკული, კოხტა ჩოხა ახალოხით გამოწკეპილი, ნაბადი გვერდზედ, ბუხრის ქუდით და წ
მესტით. წარმოიდგინეთ, იმით
რომელთაც შინიდგან გარეთ ფ
არ გაუდგამს, ისე კოხტათ ა
ვიათ, როგორც კარში გას
ოსებს. შინ მიბრძანდებით და
ოჯახიშვილურად დაგიხვდება, რ
გაოცდებით. თავის დღეში
უხვათ და კოხტათ ვერ იცხ
რებს ბარში ქართველი ოჯა
რომელსაც წელიწადში ასი კ
პური მოსდის და ორმოცი კ
ღვინო, როგორც აქ ის ოსი, რ
მელსაც წელიწადი თორმ
თვე ხელი არ გაუნძრევია და
ლში ერთი კატა არა ჰყოლ
საიდგან და როგორ? მე მემ
რებიან ჩურას ამბობო და ეხ
თქვენ გამოიყვანეთ დასკვნა,
წამკითხველო. მე მარტო ის
გახსენით, რომ შემოსავალი
საიდგან არა აქვთ მეთქი, იმ უ
ბურ კავკასიონის მთებში და ტყ
ში, სადაც ნადირსაც კი გაუ
დება ცხოვრება. თითო სახ
აქვთ მთის წვერებზედ მიწაში შ
ხრილები, ზედ წაყრილი აქვს წ
ლის სათრები, წაფარებული მ
და სხვა ღვთისაგან განაჩენი ა
ფერი. მაშ რას აკეთებენ აქა?
უცდიან? რას უცდიან?
ენანებათ, რომ აქედგან
ვიდნენ შუაგულ ქართლში.
მელიმე თავადიშვილის
დაბუნები მოხნას სამეოთხე
აქაც ხომ მეოთხედს აძლევს
მოუვა, მაგრამ ბარში მუშა
უნდა, გარჯაა საჭირო; მთაში
სამუშაო ცოტაა და მაინც კა
სცხოვრობენ. განა არა აქვთ
გიერთ აქაურ შრომის მოყვა
ქართლში აღებული მამულ
მაგრამ მთის ოსი დასცინის:
სულა ჩემი სახლიკაცი და ქა
ველივით მუშაობსო.

პატარა ლიახვის ოსებს თვი
რაც უნდა ქნან, ღმერთმა მ
დობა მისცეთ, მაგრამ სამწუ
ის არის, რომ მთის ქართვე
საც ნებას არ აძლევენ პარას
ბით იმუშაონ. მთის ქართვე
ზამთარ ზაფხულ არ მოისვენ
ზამთარში კიდობნებს, აკვნ
სკამებს მაგიდებს და სხვას
თებს, ხოლო გაზაფხულზედ ხ
და სთესავს. ვილასაც დაუმტკ
ბია, რომ პარასკები და შა
უქმე არ არისო აწერისხევე
სათვის. ერთ კომლს აწერიხე
ქართველს გუთანი შეება პა
კებ დღეს, მეორე კიდევ თო
ზე გასულა. მეზობელ ო
გაუგიათ, რომ აწერიხეველი გ
გი მარიამიძე პარასკებ დღესა ს
ნისო. ერთი სოფელი ოსი კ
ზედ კაცი მოუარდა საბრა
ქართველს, ხარს უკლავდნენ
რასკების გატეხისთვის;
დგათ ერთი ალიაქოთი და ა
ქვა, ქართველმა, რა ..ლიან

ნუ დამიკლავთ, და ნუ
მთო და თავის დღეში თქვენ
ალარ გავტეხავო. შეიცო-
ასებმა და მოშორდნენ.

მართალაძე.

**ს. გორდი** (სამეგრელო).
ბის დაარსება. რამდენიმე
მას შემდეგ, რაც საქართ-
ში სამრევლო სკოლები დაა-
მაგრამ ამ უკანასკნელს ჟა-
ჩვენი საზოგადოება, რო-
შესდგება რვა სოფლისა-
ს ბედნიერება არ ეღწია და
ად წარსულის 1898 წლის ენ-
ევიდამ მაზრისზედამხედველის
ჩინის მღვდლის კაპიტონ
ელიას და მ. ბლადოჩინის
რევიას შრომით და ქადა-
სკოლას ეღირსა ჩვენი სა-
ოება. დაარსდა კიდეც ოთ-
მრევლო სკოლა. სწორედ
ბის ღირსნი არიან ზემო-
ებულნი ბლაღოჩინები ასე-
თილი მოღვაწეობისათვის.
, კვლავაც არ მოგვაკლებენ
მადლიან მფარველობას.

გორდელი იმერელი

**ს. ახალ-უბანი** (ქართლი).
ეთა თავ-გასულობა. ნეტავი
ვამოჩნდეს და ყურადღება
ოს აქაურ მედუქნეებს. ამას
ამავე გაზეთში დასტამბუ-
ო მათ შესახებ, თუ თავი-
ვაჭროს რა ფასში ჰყიდიან
იგორ ექცევიან ხალხს...
შიშით ვერ გაუვლია და
ნია „საწყრიმალო, საწყრი-
“, რომ ეს ვაჟბატონები არ
რან—არა სცემონ და ისე არ
ემრონ სახლში.

## ზის წამლობა *)

ვაჟობს ვუწამლოთ ვაზის ობ-
ს და შავ ჭორს?

ძვირფას მშრომელს და დაუვიწ-
წავლებელს ბ. არჩილ დარეჯანა-
(Мильдю и блэкротъ) ავტო-
რისაგან.

ო ქიმიკოსმა კარგად უწყის,
წორედ ამ მორფითაა (фор-
ომ სპილენძი უერთდება ანუ
დება სხვა ნივთიერებებს. ეს
კი სწორედ ისა, როცა
ც კი შეიძლება უფრო შე-
რი, შესათვისებელი შესა-
ა (ассимилуемый, уподо-
ый). მაშასადამე რაგვარი
ო არსებობს სპილენძი თვი-
ამ ხმარებულ შენაზავებში
аъ). გადავშინჯოთ იგინი
ლებით.

ამნის წმინდა და მარტივი
ი.

ი შეიცავს სპილენძს გოგირდ-
არილის მორფად, ე. ი. შე
ერთებულს გოგირდის სიმჟავესთან, რომელიც ფრიად მწველი და მჭამელი ნივთიერებაა. ფოთლებზე მისხმულ-მოფენილი იგი იშლება, ანუ იხსნება (ფოთლის ანუ გარეგანი სხვა რამე ძალების მოქმედებით) იძლევა სპილენძის ნაჟანგრს, ჟანგრს (ОКИСЬ) და იმავე დროს ანთავისუფლებს გოგირდის სიმჟავეს. აი რატომ უფრო ხშირად იგი სწვავს მცენარებას ორძილობას (растительность) და აი რის მიზეზით იძულებულ იყვნენ მეტად გაეწყალებინათ ეს სითხე, (მხოლოდ 300 გრამი ერთ ჰექტოლიტრ წყალში). ამისთანა შენაზავში, რასაკვირველია, ძალიან ცოტა სპილენძი-ღა რჩება ფოთლებზე, რასაც სულ უბრალო წვიმაც კი ჩამორეცხავს და მაშასადამე გადარჩენაც სათუოა.

2. ბორდოული ანუ მილარდეს სითხე.

როდესაც შაბიამნის ხსნილში გამუდმებით რევით ჩაასხმენ ბლომად კირის განელებულ რძეს (წყალში გახსნილ კირს). მიიღება ერთგვარი ლუფხი (смѣсь, помѣсь): კირისა (მაგარი).

გიასისა ანუ გოგირდ-მჟავი კირისა (მაგარი) და სპილენძის ლურჯი ჟანგრისა (მაგარი).

სუსპანდიურად წყალში. აი ეს ის შედგენილობა ანუ შენაზავი წამალი, რომელსაც ეძახიან ბორდოულ ანუ მილარდეს სითხეს.

კირი და გიასი ამ ლუფხში არიან უმოქმედონი ობის წინააღმდეგ და მხოლოდ უკანასკნელი—ლურჯი ჟანგირი სპილენძისა არის ერთად-ერთი მომქმედი, მაგრამ კირმა ამ ლუფხში შეასრულა ერთი ძალიან საჭირო და ღირშესანიშნავი ფუნქცია ის, რომ მან შეიპყრო გოგირდის სიმჟავე და გარდააქცია მუდმივ უცვლელად, ცეცხლ-უშიშრად გოგირდ მჟავ კირის მორფით და ამით მაშასადამე იმ ჟამიდან მან ხელი შეუშალა მას მცენარების დაწვაში.

აი რისთვის მას, ბორდ. სითხეს (როცა მას ურევია საჭირო რაოდენობა კირისა) არ შეუძლიან დასწვას მცენარება, რაც გინდა სუსტი და ნაზი იყვეს იგი და რამდენადაც უნდა ახმარონ ეს სითხე, რადგანაც გოგირდის სიმჟავე შაბიამნისა, ასე რომ ვსთქვათ, გამოაკლდა გამოერჩია.

მაგრამ რადგანაც იგი შეიცავს სპილენძის ლურჯ ჟანგრს მხოლოდ მაგარი მორფით, სუსპანდიურად (და არა ხსნილად). მას არა აქვს სენის წინააღმდეგ სრულიად დაუყონებლივი, უმალი მოქმედება. რომ სპილენძმა გამოიჩინოს თავისი მოქმედებითი ძალა, საჭიროა რომ იგი გახსნილ იყვეს გარეგან ბუნების მოქმედებათაგან ან ფოთლების სიმჟავისაგან. ეს კი, როგორც ყველა ქიმიური ცვლილებანი რეაქციები, თხოულობს რამოდენიმე ხანს. თუ, მაგალითად: წამლობის შემდეგ საღამოს ან მეორე დღეს მცენარეებს ობი გაუჩნდათ, გადარჩენა შეიძლება არ მოხდეს, რა წამალმა ვერ უშველოს. ამის გარდა, როგორც ყველა სველი ლუფხები, რომლებიც შეიცავენ ფშვნილ სხეულებს, სუსპანდიურად და ამავე დროს კი აკლიათ სხვა ხსნილი ნივთიერებანი, ბორდოული სითხე სტოვებს ფოთლებზე პატარა ლაქებს, რომლებიც რა შრებიან და ხმებიან, საკმაოდ არ ეკრობიან ფოთლების ეპიდერმებს. ეს სპილენძ-კირიან ლუფხის, პაწაწინა ლავაშები ძალიან ფხვიერები არიან და ამიტომ თვით ტოტების ნძრევისაგანაც კი იყრებიან და ხცვივიან; ერთი სიტყვით კალატოზების ენაზე რომ ვსთქვათ, ეს უღონო უძალღვო კირია. ამ რიგად ბორდოულ სითხეს თუმცა აქვს დიდი ღირსება და უპირატესობა—არასოდეს არ დაწვა, მაგრამ საუბედუროთ ის ნაკლიც აქვს, რომ მისი მოქმედება შეიძლება არ იყვეს უმალი და სრულიად დაუყონებლივი. მაინც და მაინც კი მან ძალიან კარგი შედეგი მოიტანა და მოაქვს ყველგან და კიდევაც შეიძლება უდანაშაულოდ მისი ხმარება, რადგანაც იგი არა სწვავს.

გ. ლეხურელი

(შემდეგი იქნება)

## სამეცნიერო ცნობა

### მცენარეთა მეტყველება (ბოტანიკა)

(შემდეგი *)

მუხა. (ქართული, იმერული, გურული) ჰყონი (მეგრული), კაგნი (სომხური), ფალუთ (თათრული), ტულდზ (ოსური), დჯიგაი (ჩერქესული), ადჯ (აბხაზური), მიკხ, ნუკხე, ნაკხო (ლეკური), დუბ (რუსული), კიკერკუს პედინკულატა (ლათინური) ძალიან ბევრი სხვა-და სხვა ჯურისაა, რომლებიც ერჩევიან ერთი ერთმანეთს ფოთლების მოყვანილობით, ფერით, ყლორტებით, ტოტებით, დრო ყვავილისა, რკოთი და სხვა; გვარობს ჩრდილოეთ კავკასიაში და ამიერ კავკასიაში, მთებში, ტყეებში მხოლოდ მინდვრებში თითოოროლა, უყვარს მშრალი ნიადაგი, იზრდება უშველებელი სიმაღლით, სიგანით და სიგრძით, რაკი ვეხები მუხის ცხოვრებას, მეტი არ იქნება ვსთქვა ორიოდე სიტყვა სოფელ ძველ გავაზის (თელავის მაზრაშია) მუხაზე. სოფელ ძველ გავაზის ეკკლესიის ეზოში დგას ერთი უზარმაზარი მუხა, რომლის სიმსხო (окружность) უდრის შვიდ საჟენს, აქვს ოთხი დიდი უშველებელი ტოტები, რომლებიც შემოსილნი არიან სხვა მრავალ მსხვილ და წვრილ ტოტებში, ის ოთხი ტოტი ისე წასულა აქეთ-იქით სიგანეზე, რომ თითო ტოტს უჭირამს დიდი კალოს ტოლა ადგილი. და ერთი ტოტი აბჯენია ეკლესიაზე, როგორც მიამბო იქაურმა მღვდელმა მამა ბართლომე იანქოშვილმა, რომ მთელ სოფლის ხალხი კაცი, დედაკაცი და ყმაწვილები ეფარებიან ამის ჩრდილოშიო. ეს მუხა აძლევს ლაზათს და შნოს ამ სოფელსაო, ეს ხე რომ არ ყოფილიყო, ყველა მხრით ამ სოფელს დაეკარგებოდა შნო და ლაზათიო. მუხას ძალიან დიდი მოთხოვნილება აქვს მთელ დედამიწის ზურგზედ, მეტადრე სადაც მისდევენ ვენახების მომშენობას და ღვინის დაყენებას ან ვაჭრობას, მაგალითად მის მასალით ამზადებენ ღვინის ბოჩკებს და სხვა-და-სხვა ჭურჭელს, აგრეთვე მის ჰიგოს და სარს ვენახებში უდგმენ ვაზს, რომელიც სძლებს ხუთმეტ ოც წლამდისინ. მის დახალულ რკოს ხმარობენ ყავის მაგიერ, სუსტი აგებულობის ადამიანები. აგრეთვე რკო შეადგენს უპირველეს ღორების საჭმელს. ცოცხლობს ორი ათას წლამდისინ. მაგრამ ას მუხებში შესანიშნავი არის ერთი ჯურა მუხა, რომელსაც უწოდებენ სახელად პრობკის მუხას, პრობკოვოი დუბ (რუსულად), კუერკუს სუბერ (ლათინური). ეს მუხა მითი არის შესანიშნავი, რომ ოცდა ხუთი ან ოცდა ათი წლისა როცა გახდება, მაშინ მას ხდიან (ატყავებენ) ქერქს, ასე რომ რვა წელიწადში ერთხელ ისევ იმეორებენ იმავე ხიდამ ქერქის გახდას; ამ ქერქიდამ ქარხნებში აკეთებენ პრობკებს. ამისთანა მუხა ბევრი არის ყირიმში, იალალში საიმპერატორო ნიკიტის ბაღში, შეგირდები ხდიდნენ ქერქს, რომლის შემწეობითაც ზღვაში სწავლობდნენ ცურაობას. საზოგადოდ ყველა მუხა მრავლდება: თესლით, რკოთი, გაზაფხულობით და შემოდგომით. მუხის ქერქში ნახარშს წყალს ხმარობენ კბილების და ღრძილების გასამაგრებლად. როდესაც კაცს სტკივა ღრძილები მაშინ ნახარში წყალი დღეში რამდენჯერმე დაიგუბოს პირში ან კიდევ, რამდენჯერმე გამოირეცხოს პირი.

არჩილ დარეჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

## ყურმოკრული საუბარი

გორელი სომეხი თურმე რწყილს ატყავებდა, ხონელმა რომ დაინახა უთხრა:

— შენ თჯახქორო, რამდენი ქონი გაგიტანებია.

*) "ცნობ. ფურც." № 798.

*) იხ. „ცნ. ფურ.“ № 798.

## სხვა-და-სხვა ამბავი

—

ალალ-მართალი ავაზაკი. ქ. როსტოვში (დონზე) ღამით 31 მარტს, პოლიციელმა შენიშნა, რომ ვიღაც კაცი მოდიოდა რკინის გზის სადგურისკენ და თან მიჰქონდა ზურგზე მოკიდებული ტოპრაკი. პოლიციელმა ეჭვის თვალით დაუწყო ცქერა, რადგან ასე პატარა ტვირთი ეკიდა და მოკუზული ხვნეშით მიდიოდა. რასაკვირველია, მაშინვე შეიპყრო და წარადგინა პოლიციაში როდესაც გაშინჯეს ტვირთი, აღმოჩნდა სიმძიმით ერთი ფუთი და ნახევარი. შიგ ოქროს ფული და ათ თუმნიანი კრედიტის ბილეთები იყო, სულ 40,000 მან. მან განაცხადა, რომ მე არტელშჩიკი ვარ პეტერბურგის არტელისგან, ვმსახურობ ერთ-ერთ ბანკში და ეს ფული მიმქონდა რკინის გზის სადგურზე გადასაცემად, სადაც ჯერ იყო დანიშნული. პოლიციელები, რასაკვირველია, არ დაეთანხმნენ და უნდოდათ საქმე გადაედოთ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მართლაც დაჭერილი „არტელშჩიკისთვის“ მინდობილი ჰქონდათ 40,000 მანეთი გასაგზავნათ ღამის სწრაფი მატარებლით სადგურ „კამენსკისთან“, სადაც იმყოფებოდა განყოფილება იმ ბანკისა, რომლისგანაც ჰქონდა მინდობილი ეს ფული.

## დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

11 აპრილი

**კოპენჰაგენი** ხელმწიფა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული ნაშუადღევის 4 საათზედ საიმპერატორო გემით „შტანდარტით“ ლიბავაში წაბრძანდა, მეფემა და სამეფო გვარეულობის წევრებმა ნავთსადგურამდის გააცილეს.

**პარიზი.** „ფიგაროში“ დაბეჭდილია ჩვენება სტრონგასი და ბილიოსი. სტრონგამა სთქვა, რომ ესტერგაზმა რამდენჯერმე გამომიცხადა: ბორდერო ჩემი დაწერილია სანდგერის ბრძანებისამებრო. მოწმემ დაწვრილებით აღნიშნა, თუ როგორ მომხდარა ეს სიყალბე. ბილიო ამტკიცებს პირველ სერიას პანიცარდის დეპეშებისას, სადაც ნათქვამი იყო: „დრეიფუსი დატყვევებულ იქმნა. ემისარი გავაფრთხილეთო.“ დეპეშების მეორე სერიაში სიტყვების: „ემისსარი გაფრთხილებულ იქმნა“-ს მაგიერ მთელი ხუთი-ექვსი სტრიქონი იყო მოყვანილიო. ბილიომ მოითხოვა დეპეშების დედანი, მაგრამ გარეშე საქმეთა სამინისტრომ არ გარდასცა.

**მადრიდი.** თავისუფალ მოაზრეთა ყრილობაზედ ცხარე სიტყვები წარმოითქვა იეზუიტების წინააღმდეგ. სიტყვა წარმოსთქვეს ქალებმაც. მანიფესტაციის მოხდენაც კი ჰსურდათ, მაგრამ პოლიციამ დაუშალა.

13 აპრილი

**ვლადიკავკაზი.** ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ვლადიკავკაზის ოლქის სამმართველოს მიერ 90,000 მან. გაფლანგვას შეეხებოდა. გაფლანგულ იქმნა ოსთაგან გარდახდილი საჯარო ფული. პალატამ დამნაშავედ იცნო ბუხგალტერი კრინიცანი და ზოგი-ერთა უფლებათა ჩამორთმევის შემდეგ სამის წლით „არესტანტსკი როტაში“ გაგზავნა მიუსაჯა, ხოლო მის თანაშემწე სემენოვს—სამსახურიდგან გადაგომა. ამ საქმეში მცირე ყურადღების გაწევის გამო ბრალდებულს, ვლადიკავკაზის ოლქის უფროსს პოდპოლკოვნის მიშჩენკოს კი საყვედური გამოუცხადა. გაფლანგული ფული უნდა გადაიხადოს კრინიცანმა, ხოლო თუ მან ხელმოკლეობისა გამო ვერ შესძლო ფულის გადახდა, მაშინ მიშჩენკომ და სემენოვმა უნდა გადაიხადონო.

**პარიზი.** საკასაციო პალატამ, ხალხის დაუსწრებლად, ჩვენება ჩამოართვა ფრეიშტეტერს, ლეპინს, ბერტილიონსსა, გენერლებს გონზსა და როჟეს. არავინ იცის ერთმანეთს პირში წაუყენეს იგინი თუ არა.

## თეატრალური ბიბლიოთეკა.

—

შემოწირული წიგნები. პეტრე ყიფიანმა: „ორი პიესა“ ივ. გულისაშვილისა, ჩვენი თეატრი და პანთეონი ქართული თეატრისა, დრამები და კომედიები გ. გუნიასი, წიგნი მეორე. ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო ფრანგულს ენაზე ექვსი წიგნი, (მოლიერი, ლესაჟი, სხვა და სხვა კლასიკები, კორნელი, კოპპე და ა. დიუმა).


**ვ. გუნიას სტამბა**

სააღდგომოდ

ბეჭდავს ყოველ გვარ სასტამბო საქმეს, სადარბაზო ბარათებს და სხვა.

ფასი ყველასათვის ხელ-მისაწდომი.

**ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1899 г.**

журналъ политическій, литературно-художественный и сатирич
ъ КАРРИКАТУРАМИ

**„РАЗВЛЕЧЕНІЕ“**

вступаетъ въ **41** годъ своего усіцествованія.

РАЗВЛЕЧЕНІЕ— журналъ вполнѣ **семейнаго характера**, не ворствуетъ грубымъ вкусамъ толпы, а старается быть вс вполнѣ корректнымъ и приличнымъ

**РАЗВЛЕЧЕНІЕ въ 1899 г., дастъ своимъ подписчикамъ:**

1) Пятьдесятъ номеровъ журнала, въ которыхъ бу помѣщено болѣе 800 прекрасно исполненныхъ рисунковъ ромъ, карандашемъ и въ краскахъ извѣстныхъ каррикатурист художниковъ. Литературный отдѣлъ будетъ вмѣщать въ массу художественныхъ разсказовъ, сценъ, очерковъ, стих еній и всякаго рода сатирическихъ и юмористическихъ ме рей, дающихъ полную картину нравовъ современнаго об счва **столицъ и провинціи (провинціяльныя злобы дня** и курьезы эттъ помѣщаться въ текстѣ и рисункахъ). Въ прололженіе ду года будутъ помѣщаться **юмористическія иллюстраціи** въ гоахъ къ произведеніямъ извѣстныхъ русскихъ и иностранн коэтовъ и писателей. (Иллюстраціи эти полны захватываюш пнтереса по своему художественному исполненію).

иВсѣ годовые подписчики получатъ ПРЕМ

**ХУДОЖЕСТВЕННЫЙ АЛЬБОМЪ въ КРАСКАХЪ**

*Царь Феодоръ Іановпчъ*

Трагедія **Графа А. К. Толстого.**

Альбомъ будетъ заключать въ себѣ 12 картинъ въ краск снятыхъ со сценъ піесы графа А. К. Толстого **„Царь Өеo Іоановичъ“**, шедшей въ Москвѣ въ «Художественно-Об ступномъ театрѣ» подъ управленіемъ К. . таниславскаго В. И. Немировича-Данченко.

Въ память столѣтія со дня смерти А. С. ПУШКИНА бу разосланъ ПУШКИНКІЙ НОМЕРЪ посвященный памяти по Полное собраніе сочиненій популярнаго юмориста А. Пе (А. П. Подурова).

Годовая цѣна журнала ШЕСТЬ РУБЛЕЙ, съ преміями СЕМЬ РУБЛЕЙ.

Допускается разсрочка: при подпискѣ **ТРИ** руб., въ мартѣ **одинъ** р., въ лѣ **одинъ** р. и маѣ **одинъ** р. (Пробный № высылается за три семик чныя марки). Адресъ: **Москва, журналу РАЗВЛЕЧЕНІЕ.**

Открыта подписка на журналъ **„Новый міръ“** на **1899** годъ

Подписная цѣна годовому издаінію „НОВЫЙ МІРЪ“ со всѣми преміями и приложеніями съ дост. и перес. . . . **14** р

**ПОДПИСЧИКИ „НОВАГО МІРА“ ВЪ ТЕЧЕНІЕ 1899 г. ПОЛУЧАТЪ СЛѢДУЮЩІЯ ШЕСТЪ ИЗДАНІЙ**

I. ЖУРАЛЪ **„НОВЫЙ МІРЪ“** СЪ СОВРЕМЕННОЮ ЛѢТОПИСЬЮ 24 выпуска въ годъ въ форматѣ лучшихъ европейскихъ иллюстрацій.

II. особый иллюстрир. отдѣлъ **„МОЗАИКА НОВАГО МІРА“** (24 выпуска въ годъ) составляющій какъ бы самостоятельный журналъ по прикладнымъ знаніямъ, вмѣшающій въ себѣ 16 рубрикъ.

III. ЖУРНАЛЪ **ЛИТЕРАТУРНЫЕ ВЕЧЕР** „НОВАГО МІРА“ 12 ежемѣсячныхъ иллюстрированны книжекъ романовъ и повѣстей для се мейнаго чтенія.

IV. ШЕТЬ переплетенныхъ томовъ новаго полнаго собранія сочиненій *И. И. Лжечников,* (ТОМЪ 1—6)

V. ШЕТЬ переплетенныхъ томовъ новаго полнаго иллюстрирован. собранія сочиненій *енрих ейне,* въ переводѣ русскихъ писателей редакціи В. В. ЧУЙКО (ТОМЪ 1—6)

IV. **ДВѢ** изящно переплетн. кни ФОРМАТА in-folio РОСКОШНАГО ИЗДАНІЯ *Живописной Росс* посвященныя описанію черноземныхъ, нестепныхъ губерн. донско-каспійской обл.

(12—